ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 07

25 ივნისი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2021 წლის 25 ივნისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.
სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ შინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, მაია კბილაშვილი, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, შალვა დათუაძე, გვანცა გრძელიძე, რუსუდან გეწაძე, ზაზა ზივზივაძე, გაბრიელ ღიბრაძე.
სულ: 24 საკრებულოს წევრი.
სხდომას არ ესწრებოდა: გურამი კიკნაველიძე, ალექსი ლომინაშვილი, ირაკლი გოგსაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე,
ასევე სხდომას ესწრებოდნენ:
მუნიციპალიტეტის მერიიდან:
ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.
საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.
ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.
საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე
სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.
რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.
სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.
შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2.„ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3.მუნიციპალიტეტში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

6.„მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ივნისის №42 29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

7.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ა.(ა) ი. პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაზე გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

8.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

9.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

10.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 24 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო და სათანადო განმარტებები გააკეთა: **ლერი გუმბერიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვა: გურამი კიკნაველიძემ, შალვა მშვილდაძემ, ვლადიმერ წიქორიძემ.
ვ. წიქორიძე დაინტერესდა ქ. ბაღდათში თამარ მეფის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობით, ასევე სოფელ შუბანში სასმელი წყლის დამატებითი დებეტის შემოყვანისათვის ბიუჯეტის თავისუფალი თანხებიდან თუ იყო შესაძლებელი ამ მიზნით თანხების გამოყოფა.
როგორც მომხსენებელმა ლ. გუმბერიძემ აღნიშნა მიმდინარე წელში ასეთი რაოდენობის თანხების მოძიება გაჭირდებოდა
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- გურამი კიკნაველიძემ, კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 10 (დადგენილება:დ-67.67211761) 25.06.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 22 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 22 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

სამსახურის ახალი დებულების დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა- ლ. გუმბერიძემ.

აზრი გამოთქვეს: გურამი ჩხეიძემ გურამი კიკნაველიძემ, ფრიდონ მაჩიტაძემ, მურად ბურჯანაძემ.
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოადგინა გურამი კიკნაველიძემ, კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 11 (დადგენილება:დ-67.67211762) 25.06.2021წ.
(დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. მუნიციპალიტეტში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების პროექტი და კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ

ცვლილება გამოწვეულია მთავრობის ადმინისტრაციიდან ნორმატიულ აქტებზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.
საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 12 (დადგენილება:დ-67.67211763) 25.06.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
მესამე კვარტლის სხდომების სამუშაო გეგმის პროექტი ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 35 (განკარგულება:გ-67.67211767) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
ანგარიში სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ სხდომაზე წარმოადგინა: **მირიან ფულარიანმა- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: სიმონ ჭოლოკავამ, ნოდარი გიორგიძემ, შალვა მშვილდაძემ, გია ტაბეშაძემ

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 36 (განკარგულება:გ-67.67211766) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. „მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ივნისის №42 29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
განკარგულებაში შესატანი ცვლილებები წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 37 (განკარგულება:გ-67.67211765) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ა.(ა)ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაზე გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
განკარგულ ების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 38 (განკარგულება:გ-67.67211764) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 8. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ
განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 39 (განკარგულება:გ-67.67211763) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 9. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

განკარგულრბის პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ კომისიას აქვს რეკომენდაცია საპრივატიზაციო ნუსხიდან რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით ამოღებული იქნეს საკადასტრო კოდზე 30.03.42.343 მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს სოფელ ვარციხეში.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 40 (განკარგულება:გ-67.67211762) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ
განკარგულრბის პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 41 (განკარგულება:გ-67.67211761) 25.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-18 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **შალვა მშვილდაძე**